ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №27

13.11.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღაია, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ეკა ცეცხლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.
2. **დაინტერესებული პირები (განმცხადებლები:** ამირან ჯიშკარიანი, ზურაბ ჯიშკარიანი, გელა მჭედლიშვილი)

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას წარუძღვა (თავმჯდომარეობდა): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 4 ოქტომბრის №16-0318277147-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 29 ოქტომბრის №12-031830273-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 2 ნოემბრის №12-0318306108-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 4 ოქტომბრის №16-0318277147-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - **№01182662-67; №0118262494-67; №17-01182432462-67; №17-01182602987-67; №01182551869-67**).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 5 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქ. თბილისში, გიორგი ჩუბინაშვილის ქუჩა №14-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.006.005) ნაწილზე (ფართობი: 13 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების შესახებ (№01182662-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182662-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, გიორგი ჩუბინაშვილის ქუჩა №14-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.006.005) ნაწილზე (ფართობი: 13 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს და სატრანსპორტო ზონა ვრცელდება (გადასულია) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე. ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ (რეალურ) მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - **ქ. თბილისში, ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის I შესახვევი, №6-6ა-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.100.010) ნაწილზე (ფართობი: 5 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილების შესახებ (№0118262494-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№0118262494-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის I შესახვევი, №6-6ა-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.100.010) ნაწილზე (ფართობი: 5 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს და სატრანსპორტო ზონა ვრცელდება (გადასულია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მცირე მონაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე. ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ (რეალურ) მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) - **ქალაქ თბილისში, ლილო, ლოჭინის ხევი (ნაკვეთი №05/001)-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.14.005.035) ნაწილზე (ფართობი: 1580 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილების შესახებ (№17-01182432462-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№17-01182432462-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ლილო, ლოჭინის ხევის (ნაკვეთი №05/001-ის) მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.14.005.035) ნაწილზე (ფართობი: 1580 კვ.მ.) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება. მომიჯნავედ არსებულ ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 2 (ს-2) და წარმოდგენილი ტერიტორიის მიმდებარე არეალი არის დაუსახლებელი, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 28 სექტემბრის №18-01182713281 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისში, ლილო, ლოჭინის ხევი, ნაკვეთი №05/001-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: №01.19.14.005.035) ფუნქციური ზონის - სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) მიზანშეწონილია, თუმცა, ამავე წერილის თანახმად, აუცილებელია საკადასტრო ერთეულზე მოეწყოს გამწვანებული სივრცე.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 4) - **ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი, „პეპელას“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №№01.19.21.003.064, 01.19.21.003.067) ნაწილზე ფართობით ჯამში 4138 კვ.მ. სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების შესახებ (№17-01182602987-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№17-01182602987-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი, „პეპელას“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №№01.19.21.003.064; 01.19.21.003.067) ნაწილზე 4 138 კვ.მ. ფართობზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) - 3 995 კვ.მ. და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) - 143 კვ.მ. საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. მიწის ნაკვეთები წარმოადგენს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საკუთრებას, რომელზეც დაგეგმილია საინვესტიციო პროექტის განხორციელება. ტერიტორიის მდებარეობა და არსებული მწვანე საფარი იძლევა ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ათვისებისა და სამშენებლოდ განვითარების საშუალებას, ისე, რომ მწვანე ნარგავები იქნას შენარჩუნებული. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 28 სექტემბრის №18-01182713281 წერილის თანახმად, საქალაქო სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის - სარეკრეაციო ზონა 1-ისა (რზ-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ცვლილება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2). თუმცა, ამავე წერილის თანახმად, აუცილებელია საკადასტრო ერთეულზე მოეწყოს გამწვანებული სივრცე.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 5) - **ქალაქ თბილისში, გაგარინის II შესახვევში, №6ა; ქალაქ თბილისში, ქუჩა იმედაშვილის №3-ში; ქალაქ თბილისში, ქუჩა იმედაშვილის №5-ში; ქალაქ თბილისში, ქუჩა იმედაშვილის №7-ში; ქალაქ თბილისში, ქუჩა იმედაშვილის №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.10.12.021.001; 01.10.12.021.002; 01.10.12.021.004; 01.10.12.021.005; 01.10.12.021.011; ცვლილების ფართობი: 2024 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების შესახებ (№01182551869-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182551869-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, გაგარინის II შესახვევი №6ა-ში, ქალაქ თბილისში, ქუჩა იმედაშვილის №3-ში ქალაქ თბილისში, ქუჩა იმედაშვილის №5-ში; ქალაქ თბილისში, ქუჩა იმედაშვილის №7-ში; ქალაქ თბილისში, ქუჩა იმედაშვილის №10-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი:

№№01.10.12.021.001; 01.10.12.021.002; 01.10.12.021.004; 01.10.12.021.005; 01.10.12.021.011; ცვლილების ფართობი: 2024 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. იმის გამო, რომ საპროექტო არეალში მდებარე საცხოვრებელი სახლები ამორტიზებულია და არსებობს ფუნქციური ზონის ცვლილების განსაკუთრებული სოციალური ინტერესი, ვინაიდან, მოქმედი ფუნქციური ზონების ფარგლებში შეუძლებელია მობინადრეთა ინტერესების დაკმაყოფილება და ინვესტორის მოზიდვა, მობინადრეთა დაკმაყოფილებისთვის საჭირო საბინაო ფონდის შესაქმნელად შესაბამისი პარამეტრების მინიჭებისთვის აუცილებელია საცხოვრებელი ზონა 6-ისა და სატრანსპორტო ზონა 1-ის ცვლილება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით. ასევე, მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხებთან (სულ: 5 წინადადება - №01182662-67; №0118262494-67; №17-01182432462-67; №17-01182602987-67; №01182551869-67) დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა და შეკითხვები არ დასმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2018 წლის 4 ოქტომბრის **№16-0318277147-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - **№01182662-67; №0118262494-67; №17-01182432462-67; №17-01182602987-67; №01182551869-67)** განსახილველად გატანა საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 29 ოქტომბრის №12-031830273-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - **№01182763550-67; №01182191235-67; №01182693469-67; №01182784115-67; №01182823710-67; №17-01182741162-67**).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 6 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქ. თბილისში, ნავთლუღის ქუჩა №10-ში არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: №№01.17.12.023.062; 01.17.12.023.061; 01.17.12.023.058) და ქალაქ თბილისში, ბაღდადის ქუჩაზე (ნაკვეთი: №23/043) (ნაკვეთი №23/40) არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: №№01.17.12.023.059; 01.17.12.023.063; 01.17.12.023.060) (ცვლილების ფართობი: 19 942 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების შესახებ (№01182763550-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182763550-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქუჩა №10-ში არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: №№01.17.12.023.062; 01.17.12.023.061; 01.17.12.023.058) და ქალაქ თბილისში, ბაღდადის ქუჩაზე (ნაკვეთი №23/043) (ნაკვეთი №23/40) არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: №№01.17.12.023.059; 01.17.12.023.063; 01.17.12.023.060) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად (ცვლილების ფართობი: 19 942 კვ.მ.). ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ბაღდადის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.044) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №445 განკარგულებით დადგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონები და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ

თბილისში, ნავთლუღის ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.063; №01.17.12.023.061; №01.17.12.023.058) და ქალაქ თბილისში, ბაღდადის ქუჩაზე (ნაკვეთი №23/043) (ნაკვეთი №23/40) არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.059; №01.17.12.023.063; №01.17.12.023.060) ფუნქციური ზონის ცვლილება (ცვლილების ფართობი: 19 942 კვ.მ.) მიზანშეწონილია.

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - **ქ. თბილისში, სოფელ გლდანში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №72.13.18.750) (ცვლილების ფართობი: 1708 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილების შესახებ (№01182191235-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182191235-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში, არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.18.750) ნაწილზე (ფართობი: 1708 კვ.მ.) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. დღეის მდგომარეობით წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ და მიმდებარედ მიმდინარეობს ტერიტორიის განაშენიანება განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ფუნქციის შესაბამისად, რომელსაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვები. დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს რეალურად საცხოვრებელი ზონით განვითარებულ არეალში. ასევე, ტერიტორიის მდებარეობა და არსებული მწვანე საფარი იძლევა სამშენებლო განვითარების საშუალებას, ვინაიდან, არსებულ საკადასტრო ერთეულზე არ ფიქსირდება ხე-ნარგავები.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) - **ქ. თბილისში, კოჯორში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №81.01.14.025; ფართობით: 688 კვ.მ.) და მის მომიჯნავედ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების ნაწილზე (ფართობით: 930 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა 1-ისა (სზ-1) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების შესახებ (№01182693469-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182693469-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, კოჯორში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.01.14.025) ნაწილზე და მის მომიჯნავედ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების ნაწილზე (ფართობი: 1618 კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ისა (სზ-1) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება გზის მოწყობის მიზნით (ცვლილების

ფართობი: 1618 კვ.მ.). ფაქტობრივი მდგომარეობით, საპროექტო ტერიტორიაზე გადის გრუნტის გზა, რომელსაც მოსახლეობა იყენებს როგორც მათ საკუთრებაში არსებულ საკადასტრო ერთეულებთან ან/და საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელ გზად. 2018 წლის 10 ოქტომბრის №01182832074 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება გზის მოწყობის მიზნით.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 4) - **ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ავშნიანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.42.382) და მის მოპირდაპირე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ცვლილების ფართობი: 318 კვ.მ.) საცხოვრებელი ზონა (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების შესახებ (№01182784115-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182784115-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონი, ავშნიანის დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.13.42.382) და მის მოპირდაპირედ დაურეგისტრირებელ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ფართობი: 318 კვ.მ.) მოთხოვნილია ზოგადი საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. არსებულ ტერიტორიაზე ფაქტობრივი მდგომარეობით გადის გრუნტის გზა, რომელსაც მოსახლეობა იყენებს როგორც მათ საკუთრებაში არსებულ საკადასტრო ერთეულებთან ან/და საცხოვრებელ სახლებთან მისასვლელ გზად.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 5) - **ქ. თბილისში, კოჯორის ქუჩა №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.093.020) ნაწილზე (ცვლილების ფართობი: 15კვ.მ.) ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების შესახებ (№01182823710-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182823710-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, კოჯორის ქუჩა №6-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.093.020) ნაწილზე (ფართობი: 15 კვ.მ.) მოთხოვნილია ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. მოთხოვნილი ტერიტორია წარმოადგენს ერთ საკადასტრო საზღვრებში მოქცეულ არეალს, რომელზეც განთავსებულია შენობა-ნაგებობა. მოცემულ შემთხვევაში იკვეთება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზი, შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ (რეალურ) მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 6) - **ქ. თბილისში, ლისის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №№72.16.21.650; 72.16.21.792) (ცვლილების ფართობი: 317 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილების შესახებ (№17-01182741162-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№17-01182741162-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №№72.16.21.650; 72.16.21.792) ნაწილზე (ფართობი: 317 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება. ვინაიდან, აღნიშნული მიწის ნაკვეთები მოქცეულია კერძო საკუთრებაში არსებულ ორ მიწის ნაკვეთს შორის და მომიჯნავე მიწის ნაკვეთებისთვის არ ასრულებს მისასვლელი გზის ფუნქციას, ასევე, არსებული ზონირება წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და არსებულ (ფაქტობრივ) მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხებთან (სულ: 6 წინადადება - №01182763550-67; №01182191235-67; №01182693469-67; №01182784115-67; №01182823710-67; №17-01182741162-67) დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა და შეკითხვები არ დასმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2018 წლის 29 ოქტომბრის **№12-031830273-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - **№01182763550-67; №01182191235-67; №01182693469-67; №01182784115-67; №01182823710-67; №17-01182741162-67)** განსახილველად გატანა საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2018 წლის 2 ნოემბრის №12-0318306108-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 5 წინადადება - - **№01181923231-67; №01182841727-67; №01182391-67; №01182963637-67; №19/01182851503-01**).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 5 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 1) - **ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, დიდ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.065.046; ფართობი: 501 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილების შესახებ (№01181923231-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01181923231-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, სოფელი დიღომი, დიდ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.065.046, ფართობი: 501 კვ.მ.) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება. დაინტერესებაში არსებული ტერიტორია ემიჯნება საცხოვრებელ ზონა 3-ს (სზ-3) და მოქცეულია ჩამოყალიბებული განაშენიანების საზღვრებში. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურსა და ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ შორის 2015 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №020 ხელშეკრულებით შემოთავაზებული მიწათსარგებლობის

გენერალური გეგმის პროექტის მიხედვით, მთლიანი არეალი იცვლება საცხოვრებელი ზონით.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 2) - **ქ. თბილისში, გურჯაანის ჩიხი №6 არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.047.007) ნაწილზე 233 კვ.მ. ფართობზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილების შესახებ (№01182841727-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182841727-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, გურჯაანის ჩიხი №6-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.047.007) ნაწილზე (ფართობი: 233 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს, ვინაიდან სატრანსპორტო ზონა შეჭრილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაში რეგისტრირებული ქალაქური ეზოს საზღვრებში, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება ხარვეზის გამოსწორება და ფაქტობრივ (რეალურ) მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 3) - **ქ. თბილისში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 16 იანვრის №01/2773 ბრძანებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების (ფართობი: 183 040 კვ.მ.) შესახებ (№01182391-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182391-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. „ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის №01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა ითვალისწინებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების განთავსებას შესაბამისი ფუნქციური ზონირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება „ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მერიის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის №01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მიზანშეწონილია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 4) - **ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი: №14/30) (საკადასტრო კოდი: №01.19.37.013.002) და ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი: №14/30) ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №№01.19.30.016.009; 01.19.37.012.025) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის ცვლილების (ფართობი: 268 764 კვ.მ.) შესახებ (№01182963637-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182963637-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №14/30) (საკადასტრო კოდი: №01.19.37.013.002) და ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებული ნაკვეთების (ნაკვეთი №14/30) ნაწილებზე (საკადასტრო კოდი: №№01.19.30.016.009; 01.19.37.012.025) (ფართობი: 268 764 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ვინაიდან აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 9 ოქტომბრის №2151 განკარგულება ადგენს ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №14/30) (საკადასტრო კოდი: №01.19.37.013.002) და ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, IV მ-რ-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ნაკვეთი №14/30) ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.19.30.016.009; 01.19.37.012.025) (ფართობი: 268 764 კვ.მ.) ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (დანართის სახით წარმოდგენილი ფუნქციური ზონის ცვლილების საინფორმაციო მასალის პუნქტი 5) - **ქ. თბილისში, ნავთლუღის №31-ის (საკადასტრო კოდი: №01.17.13.052.044) მიმდებარედ მიწის ნაკვეთის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების შესახებ (№19/01182851503-01).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№19/01182851503-01 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ნავთლუღის №31-ის (საკადასტრო კოდი: №01.17.13.052.044) მიმდებარედ მიწის ნაკვეთის ნაწილზე (ფართობი: 2 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) შესაბამისი ზონით ცვლილება. წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს, სატრანსპორტო ზონა გადასულია საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე.

შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ (რეალურ) მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

მომხსენებლის მიერ (ე. ცეცხლაძე) განსახილველ საკითხებთან (სულ: 5 წინადადება - №01181923231-67; №01182841727-67; №01182391-67; №01182963637-67; №19/01182851503-01) დაკავშირებით წარმოდგენილი დასაბუთებისა და საპრეზენტაციო მასალის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა და შეკითხვები არ დასმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2018 წლის 2 ნოემბრის **№12-0318306108-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01181923231-67; №01182841727-67; №01182391-67; №01182963637-67; №19/01182851503-01) განსახილველად გატანა საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე